

წინასიტყვაობა

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს საქართველოში პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგებს.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარების აუცილებლობა განაპირობა ერთი მხრივ იმ ძირეულმა ცვლილებებმა მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურაში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხოლო მეორეს მხრივ იმ ფაქტმა, რომ საქართველო შეუერთდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ რეკომენდებულ 1996-2005 წლების მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროგრამას. აღწერა ჩატარდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით. ფინანსური შეზღუდვების გამო აღწერა ორ ეტაპად ჩატარდა: 2004 წლის 25 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე სოფლებში და 2005 წლის 14 აპრილიდან 23 აპრილამდე რაიონულ ცენტრებსა და მცირე ქალაქებში. აღწერით არ იქნა მოცული საქართველოს 5 დიდი ქალაქი (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი), აგრეთვე აფხაზეთისა (კოდორის ხეობის გარდა) და ცხინვალის რეგიონის არაკონტროლირებადი ტერიტორიები.

პუბლიკაცია შეიცავს მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ რაიონულ ჭრილში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია მრავალწლიანი ნარგავების სტრუქტურის შესახებ, რითაც გარკვეულწილად შეივსო საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზი. ნაბეჭდი ცხრილები ყველა სასოფლო მეურნეობას ეხება, ხოლო თანდართულ კომპაქტურ დისკზე დამატებით განთავსებულია ინფორმაცია ცალ-ცალკე ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესახებ.

წინამდებარე პუბლიკაციის ყველა მასალა შეიძლება მოძიებულ იქნეს ინტერნეტში სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: <http://www.statistics.ge>. გარდა ამისა, ინფორმაციის დაინტერესებულ მომხმარებელს შეუძლია მოკვმართოს სტატისტიკის

Foreword

The present publication represents the results of the first National Agricultural Census of Georgia.

The necessity of conducting the agricultural census was due, on the one hand, to fundamental changes in the structure of land tenure, land use, agricultural producers and production that took place in Georgia since independence, and on the other hand to the fact that Georgia has joined the FAO Programme of World Census of Agriculture 1996-2005. The census has been conducted by Department of Statistics under Ministry of Economic Development of Georgia with close cooperation with Ministry of Agriculture. Due to financial restrictions the census was conducted in two stages: from 25 September to 4 October 2004 in the rural area and from 14 to 23 April 2005 in district centers and small towns. 5 large cities of Georgia (Tbilisi, Kutaisi, Batumi, Rustavi and Poti) were not covered by the census, as well as the uncontrolled territory of Abkhazia (except Kodori gorge) and Tskhinvali Region (Former South Ossetia).

The publication contains manifold information on various aspects of the Georgian agriculture at the district level. Information on the structure of permanent crops is especially important since it covers a gap that has existed in agricultural statistics of Georgia. The printed tables deal with all holdings, while the attached CD contains the additional information on family holdings and agricultural enterprises separately.

All the materials of the present publication may be found in the Internet on the website of Department of Statistics: <http://www.statistics.ge>. Besides, the interested users can address to Department of Statistics for any kind of available information within the framework of statistical confidentiality at the country, region, district and community levels. The census questionnaire attached in the Annex will give the reader an idea about the type of information that may be available.

დეპარტამენტში მისთვის საინტერესო
ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად
სტატისტიკური ინფორმაციის
კონფიდენციალურობის ფარგლებში, როგორც
მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეული
მხარეების, რაიონების და საკრებულოების
დონეზეც. აღწერის კითხვარი, რომელიც
პუბლიკაციას თან ერთვის, ინფორმაციის
მომხმარებელს წარმოდგენას შეუქმნის იმის
შესახებ, თუ რა ტიპის ინფორმაციის მიღებაა
მისთვის შესაძლებელი.

დასასრულს მინდა უღრმესი მადლობა
გადავუხადო ევროკომისიას და გაეროს
სურსათისა და სოფლის მეურნეობის
ორგანიზაციას იმ უდიდესი ფინანსური და
ტექნიკური დახმარებისათვის, რომლის გარეშეც
სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარება
შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, მინდა
დიდი მადლობა გადავუხადო სტატისტიკის
დეპარტამენტის თანამშრომელთა იმ ჯგუფს,
რომლის თავდადებული შრომის შედეგია
სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარება და
წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა.

ზაზა ბროლადზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების
სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –
სტატისტიკის დეპარტამენტის
თავმჯდომარე

In conclusion I would like to express my sincere appreciation to FAO and EC for their substantial financial and technical assistance without which it would be impossible to conduct the census. Last but not least, special thanks to the staff members of Department of Statistics whose efforts made possible the conduction of Agricultural Census and appearance of this publication.

Zaza Broladze

Chairman

Department of Statistics under
Ministry of Economic Development of
Georgia.